# „ELIT AUDIT”

-----------------------------------------------------------------------------------------------

*s/k 245627978 mail: k.xeladze@gmail.com T - 577 999007*

**SARAS-F-479381**


## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

**შ.პ.ს. "საბეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ის ხელმძღვანელობას**

ჩვენ ჩავატარეთ **შ.პ.ს. "საბეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ის**

(შემდგომში „კლუბი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული საქმიანობის შედეგების ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

**ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.**

**მოსაზრების საფუძველი**

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სატანდარტების (ISA) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

**ხელმძვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანად წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, როცა ის არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ISA-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე

რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრიფავთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდების ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კლუბის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კლუბის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კლუბის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენი აუდიტორის დასკვნაში ყუადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კლუბი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი ორგანიზაცია.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში ჩამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა

კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორი არის კახა ხელაძე.

**კახა ხელაძე**
**პ/ნ 26001004455**

**შპს ”ELIT AUDIT”**
**ს/ნ 24562797**

**2026 წლის 27 მარტი**

შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“

სპეციალური დანიშნულების

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

## სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2025 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ ............... 3

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა ---------------------------------------------------------------------------4-6

ფინანსური ანგარიშგება

წლიური ფინანსური ანგარიში ........................................................................................................... 7-8
სრული შემოსავლის ანგარიში ..........................................................................................................9-10
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში ......................................................................................... 11

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

## სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია ........................................................................................................ 12
2. წარდგენის საფუძვლები .................................................................................................... 12
3. ვალუტა ............................................................................................................................ 12
4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ................................................ 12
5. მარაგები ........................................................................................................................... 13
6. შემოსავლების აღიარება .................................................................................................. 13
7. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი ....................................... 13
8. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება ..................................................................... 13
9. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები ...................................................................... 13
10. ტრანზაქციები დაკავშრებულ მხარეებთან ....................................................................... 13
11. საწარმოს უწყვეტობის განხილვა ..................................................................................... 14

შპს საფეხბურთო კლუბი ბეთლემი-ს
წლიური ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარებში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს („შემდგომში - კომპანია") ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და საწესდებო კაპიტალში ცვლილებებს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი ცალკეული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2026 წლის 27 მარტს .

დირექტორი

სულხან ჯიჯავაძე

27 მარტი 2026 წ.

| საბალანსო უწყისი | ანგარიშგების წელ | ძველი წელი |
|---|---|---|
| | 31.12.T-1 | 31.12.T-2 |
| **მიმდინარე აქტივები** | | |
| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები | | |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება | 2 573,28 | 308,78 |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება | | |
| სხვა დებიტორული დავალიანება | | |
| საგადასახადო აქტივები | | |
| მატერიალური მარაგები | | |
| სხვა მიმდინარე აქტივები | - | 6 933,34 |
| **მთლიანი მიმდინარე აქტივები** | 2 573,28 | 7 242,12 |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | |
| ძირითადი საშუალებები | | |
| არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები | | |
| არამატერიალური აქტივები - სხვა | | |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება | 940,61 | 982,10 |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება | | |
| საგადასახადო აქტივები | | |
| ინვესტიციები | | |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | | |
| **მთლიანი გრძელვადიანი აქტივები** | 940,61 | 982,10 |
| **მთლიანი აქტივები** | 3 513,89 | 8 224,22 |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | |
| ბანკის ოვერდრაფტები | | |
| ბანკის და სხვა სესხები | | |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება | | |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება | | |
| ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ | | |
| საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება | | |
| დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი | | |
| მოკლევადიანი ანარიცხები | | |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები | | |
| **მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები** | - | - |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | |
| ბანკის და სხვა სესხები | | |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება | | |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები | | |
| თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები | | |
| საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება | | |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები | | |
| გრძელვადიანი ანარიცხები | 14 160,27 | 7 334,25 |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | | |
| **მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები** | 14 160,27 | 7 334,25 |
| **სულ ვალდებულებები** | 14 160,27 | 7 334,25 |

| | ანგარიშგების წელი | წინა წელი |
|---|---|---|
| | 31.12.T-1 | 31.12.T-2 |
| **საბალანსო უწყისი** | | |
| მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები) | (10 646,38) | 889,97 |
| | | |
| **საკუთარი კაპიტალი** | | |
| საქციო/საწესდებო კაპიტალი | 35 000,00 | 35 000,00 |
| გაუნაწილებელი მოგება | (45 646,38) | (34 110,03) |
| სხვა რეზერვები | | |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალი | (10 646,38) | 889,97 |
| | | |
| **მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები** | **3 513,89** | **8 224,22** |
| | | |
| კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები) | ИСТИНА | ИСТИНА |
| | | |
| **მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება** | | |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი | 889,97 | 32 849,59 |
| პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ | (7 662,29) | (23 298,01) |
| კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში | | |
| ცვლილება გადაფასების რეზერვში | | |
| სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში | (3 874,06) | (8 661,61) |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი | (10 646,38) | 889,97 |
| შემოწმება | ИСТИНА | ЛОЖЬ |
| | | |
| **მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები** | | |
| დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში | | |
| პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი | | |
| დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად | | |
| დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს | - | - |
| **მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია** | | |
| დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში | | |
| პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა | - | - |
| დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად | | |
| გაუფასურების ანარიცხები პერიოდში | - | - |
| დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს | - | - |
| **ნეტო საბალანსო ღირებულება** | | |
| პერიოდის დასაწყისში | - | - |
| პერიოდის ბოლოს | - | - |
| შემოწმება | ИСТИНА | ИСТИНА |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: 26.03.2026

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

თარიღი: 26.03.2026

სულხან

ჯიჯავაძე

27 მარტი 2026 წ.

| | საანგარიშო წელი | წინა წელი |
|---|---|---|
| 0 | 31.12.Y-1 | 31.12.Y-2 |
| **მოგება-ზარალის უწყისი** | 0 | 0 |
| ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები | | |
| ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები | | |
| ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები | | |
| ამონაგები ბილეთებიდან - საჩუქრები | | |
| ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | | |
| **სულ ამონაგები ბილეთებიდან** | - | - |
| | | |
| სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი | | |
| სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი | | |
| სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი | | |
| სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და ლოგოებზე | | |
| სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | | |
| **სულ სპონსორობა და რეკლამა** | - | - |
| | | |
| ტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები | | |
| ტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | | |
| **სულ ტრანსლაციის უფლებები** | - | - |
| | | |
| კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები | | |
| კომერციული - საქონლის გაყიდვა | | |
| კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში | | |
| კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | | |
| **სულ კომერციული** | - | - |
| | | |
| უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები | | |
| უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი | | |
| უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | | |
| **სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა** | - | - |
| | | |
| სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან | 214 025,00 | 207 700,00 |
| სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან | | 149 867,87 |
| შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან | | 10 500,00 |
| შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან | | |
| შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან | | |
| განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი | | |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი | | |
| **სულ სხვა შემოსავალი** | 214 025,00 | 368 067,87 |
| | | |
| **სულ შემოსავალი** | 214 025,00 | 368 067,87 |
| | | |
| რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი | | |
| **სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე** | - | - |
| | | |
| ფეხბურთელები - ხელფასები და ანაზღაურება | (80 594,50) | (156 658,14) |
| ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები | (22 433,00) | (26 797,04) |
| ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი | (25 056,00) | (68 877,77) |
| **სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები** | (128 083,50) | (252 332,95) |
| სხვა თანამშრომლები - ხელფასები და ანაზღაურება | (34 540,50) | (78 103,16) |
| სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები | (8 391,00) | (1 467,71) |
| სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი | | |
| **სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები** | (42 931,50) | (79 570,87) |
| თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი | | |
| **სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები** | (171 015,00) | (331 903,82) |

| | 31.12.T-1 | 31.12.T-2 |
|---|---|---|
| **მოგება-ზარალის უწყისი** | 0 | 0 |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა | (41,00) | (41,00) |
| სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა) | | |
| ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება | | |
| **სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)** | (41,00) | (41,00) |
| | | |
| მატჩის დღის ხარჯები | | |
| სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები | | |
| კომერციული აქტივობების ხარჯები | | |
| უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები | | |
| არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები | | |
| განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები | | |
| სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | (50 631,29) | (59 695,58) |
| **სულ სხვა საოპერაციო ხარჯი** | (50 631,29) | (59 695,58) |
| | | |
| **სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)** | (221 687,29) | (391 640,40) |
| | | |
| გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | | |
| გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | | |
| მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | | |
| ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | | |
| **წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით** | - | - |
| | | |
| მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან | | |
| მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან | | |
| **სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან** | - | - |
| | | |
| ფინანსური შემოსავალი | | |
| ფინანსური ხარჯი | | |
| **წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)** | - | - |
| | | |
| სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო) | | 277,00 |
| სხვა ხარჯი (არასაოპერაციო) | | (2,48) |
| **წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)** | - | 274,52 |
| | | |
| საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი) | | |
| | | |
| **მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ** | (7 662,29) | (23 298,01) |
| | | |
| დივიდენდები | | |
| | | |
| **მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ** | (7 662,29) | (23 298,01) |
| | | |
| ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია გამოსაცემად | (თარიღი)-თვის: | 26.03.2026 |
| ფინანსური ანგარიშგების კლუბის სახელით ხელის მოწერაზე უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა): | | |
| 0 | თარიღი: | 26.03.2026 |

დირექტორი

სულხან

ჯიჯავაძე

27 მარტი 2026წ.

| 0 | ანგარიშგების წელ | მველი წელი |
|---|---|---|
| | 31.12.T-1 | 31.12.T-2 |
| **ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი** | 0 | 0 |
| წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან | 2 264,50 | (1 166,00) |
| | | |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | | |
| მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები | | |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | | |
| ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები | | |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი | | |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან | - | - |
| | | |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | |
| მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე | | |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე | | |
| მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები | | |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები | | |
| სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები | | |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები მეწილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან | | |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | | |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან | - | - |
| | | |
| სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) | | |
| | | |
| **წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/ (გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში** | **2 264,50** | **(1 166,00)** |
| | | |
| **ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია** | | |
| | | |
| საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი | 308,78 | 11,00 |
| წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში | 2 264,50 | (1 166,00) |
| საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი | 2 573,28 | (1 155,00) |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან) | 2 573,28 | 308,78 |
| | | |
| ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად | [თარიღი]-თვის: | 26.03.2026 |
| | | |
| ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა): | | |
| 0 | თარიღი: | 26.03.2026 |

სულხან ჯიჯავაძე

27 მარტი 2026 წ.

შპს საფეხბურთო კლუბი ბეთლემი-ს
წლიური ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარებში

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს საფეხბურთო კლუბი ბეთლემი დაფუძნებულია ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილით. წილის მმართველი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ტექტო ჯგუფი, 445626653 (100%) შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემის" (ს/ნ 446754245) 100% მართვის უფლებით, 29 წლიანი ვადით გადაეცა შპს „ტექტო ჯგუფი"-ს (ს/ნ 445626653)

კომპანიის იურიდიული მისამართია :

საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქედის რ-ნი, დაბა ქედა, კოსტავას ქ.#2

ფაქტიური ადგილმდებარეობა:

საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქედის რ-ნი, დაბა ქედა, კოსტავას ქ.#2

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ფეხბურთის - ბავშვთა, მოზარდთა, მოყვარულთა, პროფესიონალთა გუნდების ჩამოყალიბება, საფეხბურთო ტრადიციების შექმნა და განვითარება, მონაწილეობის მიღება ეროვნულ და საერთაშორისო ტურებში. საფეხბურთო სკოლის ჩამოყალიბება;
- საზოგადოება შეიძლება ეწეოდეს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც კანონმდებლობით არ არის აკრძალული

## 2. წარდგენის საფუძვლები

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მიერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში წარდგენის მიზნით.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში, ცალკეულ ფინანსურ ელემენტთან დაკავშრებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

## 3. ვალუტა

კომპანია წარმოგიდგენს ფინანსურ ანგარიშგებას საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში (GEL).

## 4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საფეხბურთო კლუბის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშთს ეროვნულ ვალუტაში

| | 31.12.2025 | 31.12.2024 |
|---|---|---|
| ფული და ფულის ექვივალენტები | 2573 | 308 |
| ფული ბანკში | | |
| სულ: | 2573 | 308 |

1. მარაგები

მარაგები აისახება თვითღირებულებით. მარაგების ღირებულება FIFO მეთოდით არის განსაზღვრული.

2. შემოსავლების აღიარება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებულია სუბსიდიები, შემოწირულობები, და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან, შემოწირულობები და სხვა არადაკავშირებულ მხარიდან მიღებული შემოსავლები.

3. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა საოპერაციო ხარჯის სახით , კლუბს ლიცენზიის ხარჯი, მომსახურების საკომისიოები და სხვა.

4. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება

ფეხბურთელები - ხელფასი და მასთან გათანაბრებული განაცემები შედგება ფეხბურთელების ანაზღაურებისგან. ხელფასი და პრემია.

5. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბი არ ყოფილა ჩართული რაიმე ტიპის სასამართლო დავაში.

6. ტრანზაქციები დაკავშრებულ მხარეებთან

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კლუბი ტრანზაქციებს ახორციელებს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან.

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარეს ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

7 საწარმოს უწყვეტობის მიმოხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.